აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 9

04/10/2018 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ატონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 და 23-ე პუნქტების, შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის თანდართული ფორმა.

2. დაევალოს უსკოს აპატარის იურიდიული და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსს საჩივრის განხილვისათვის მხარის დაბარების დადასტურება მოახდინონ ამ განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „უმაღლეს საარჩევნო კომისაში საარჩევნო დავებზე საჩივრის განხილვისას მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 7 აგვისტოს №11 განკარგულება.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი